

ხალხების მართვა

აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ჩუბინაშვილი

VIII — IX საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის

საქართველოს შრეულრიცხოვან დარბაზულ (კალნეიან) ეკლესიითა უმეტესობის შესწავლისას, ბოლო დრომდე სრულიად ვერ პერბდებოდა ისეთი ნიშნების გამომვლადება, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ძეგლთა დათარიღება. ამის გამო, შრეული — ამა თუ იმ ხუროთმოძღვრული, თუ საამშენებლო დეტალის მხრივ საინტერესო — ძველი ან სრულიად გამოუყენებელი რჩებოდა ევოლუციის დაბასიათების დროს, იმ გამოყენებულ იყო თარიღის საკმარისი დაზუსტების გარეშე.

იმ მხრივ სასიბაძრულო გამოჩენისს წარმოადგენს ე. წ. მაჩხანის ეკლესია დიღომის ხეობაში. თბილისის მახლობლად, ეს მცირე ზომის დარბაზული ეკლესია საკმაოდ კარგადაა შენახული: კამარა, კი შოლოდ დასავლეთ ნაწილშია ჩამონგრეული. სხვა ნაწილები ათეუ ქველად ყოფილა დაზიანებული და XIX საუკუნეში არ შეკეთებულა (სურ. 1. ხუროთ ბედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან).

გარედანაც ეკლესიის კედლები სთლანბა, მთელი თავისი სიმაღლითა დაკული, ბოლო სამხრეთის ფასადზე მთელი კარნიზი კი შერჩენილი და ნაწილობრივ კარგადაცაა შენახული. ეს კარნიზი ძველად დამახასიათებელია სურ. 5): იგი მცირე თილების უწყვეტ მწკრივს წარმოადგენს. ეს მოტივი უშუალოდ მოგვგონებს მცხეთის ჯვრის გუმბათისა. ან სამწვერისის ოსტატურად გაკეთებულ თილოვან კარნიზებს. შოლოდ ეს კია, რომ აქ სრულიად ილარაა ნახატის ოსტატობა და მკაფიობა. აღარაა ის გამოყვეთილი ფორმა, რითაც გამოიჩნევა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების მანის (VI — VIII ს-თა მიჯნაზე) ხსენებული ძეგლები. მაჩხანის ეკლესიის კარნიზი გარკვევით გვიჩვენებს იმ ეპოქის მოთხოვნისადაც დაშორებას. იმავე დროს, მანის ჩანს მისწოდება რაღაც თაუისებურის, სხეულების, იმ ეპოქის კლასიკისაგან განსხვავებულის შექმნისაკენ. ამის გამო მაჩხანის კარნიზისაგან ბოლებული შთაბეჭდილება სულ სხვაგვარია. ფორმები აქ დუნია, თითქოს ნებისმიერაა შეკულილი ყოველ თაღში, თანაც თილები თითქოს შეუქმნველად უკავშირდება ერთმანეთს ქვაში ამოღარული ორმაგი თილების ნახატით, რომელიც ჩაღრმავებული თილების თაუზეა გატარებული.

აღმოსავლეთ ფასადზე დარჩენილი ნაწილები მოწმობს, რომ განივი ფასადების კარნიზთა აგებულების ფორმა ძველებურია: ჰორიზონტალური მიმდინარეობა სივრთვი ფასადებიდან თითო — აგრეთვე ჰორიზონტალური — ქვეს

საშუალებით გადაჯეცილი იყო განივ ფასალებზე, ამ ფუძიდან კი იწვებოდა კარნიზის ძლიერად ხაზი. მოწიფულ შუასაუკუნეებში კარნიზის ამგვარი ძეგლები უკვე აღარ გვხვდება.

თუ თვით მოცივი კარნიზისა ქართული ხელოვნობების კლასიკური ხანას მიეკუთვნება, მისი დამუშავება. განსაკუთრებით კი ამოღებული თაღები, შინხანის კარნიზს იმ ძეგლთა ჯგუფში აყენებს, რომელშიაც შედის ლებორისა და ქსნის ხეობათა სამი ძეგლი — ბრძანა. წირჭოლი და ჯანაყეთი — ღებ მიერ VIII და IX საუკუნეებით დათარიღებული (პირველს შერჩენილი აქვს ზუსტი თარიღი 864 წ.).

შინხანის ეკლესიის დათარიღების გვიანდლებს საამშენებლო წარწერა. რომელიც ამოკვეთილია ეკლესიის შესასვლელის გადამბურთვ დიდ პორტიკის ტილურ ქვაზე. წარწერის არე შეიძლება ჩაღმარებულია და გულვად გათლილი (სურ. 2). მეორე წარწერა აღმოსავლეთ ფასადზე, სარკნლის ზემო ფილაზე. მას ქვეს პირველი ნახევარი უკითხავს. რამდენადღე დაუდგურად. ნაელები ს. ლრჩაგებითაა ნაყეთი, ვიდრე პირველი. აღმათ იმეტომ, რომ იგი შენობის აგების შემდეგ შეასრულეს: ამ წარწერის ასოები არ თავსდება წესიერად რომის შუი ისე, როგორც ეს პირველ წარწერაშია (სურ. 3).

15 — 20 წლის წინათ, წარწერათა გასაქნობად ეკლესია ინახულა პროფ. ი. შანიძემ. მან გამოაკვია, რომ პირველი წარწერის ცენტრში ჩართულია სახელების არაბული დაწერილობა — როგორც წარწერის ტექსტის დამატება და პარალელი; ამ რიგი მიხედვით (ქართულისა და არაბულის) საფუძველზე ი. შანიძეს მიაჩნდა, რომ წარწერები X ს-ზე გვიანდელი არაა. რამე ხელოვნობის დეტალები არც მას და არც ი. სონღულაშვილს (რომლისაგანაც შევიტყუეთ ამ ძეგლის არსებობა ი. შანიძემაც და მეც) არ მოუხსენებიათ. ამიტომ დეტალების ნახეი ძეგლის დათვლიერებისას 1935 წლის 15 მაისს — ღემთეის მოულოდნელი შენაძენი იყო. ამან შეცვლია (დააზუსტა) ძეგლის თარიღი. წარმოდგენილი ი. შანიძის მიერ.

ამგვარად, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ წარწერათა შესაძლებელი დათარიღების გარკვევაზე, რადგანაც ი. შანიძემ აღნიშნა უკანასკნელად ასაშუები მიჯნა. მაგრამ მას წინასწარ არ განუხატლერავს უფრო ძლიერდელი ხანისათვის მიეკუთვნების შესაძლებლობა ან შეუძლებლობა.

ძირითადი საამშენებლო წარწერა ასე ეკითხება (სურ. 4):


ქ. სახელითა ღმრთისადათა, ქეობებითა წბიდისა თვედორესითა — აღიდენ ღმერთმან ქართლისა ამირაჲსა ბეღათა — იეშენა ესე საყდარი ჰომიდ კატრისძისაობასა. უფილო, შეუნდვენ კოღვანი.

ასოთა დაწერილობაში გამოიყოფა დ, რომელსაც სწორკუთხა მოხატულობა და ზემოთ მარცხნივ პორტიკის ტილური კუდი აქვს, დ, რომელსაც წრე ზემოთ მარცხნივ შეუკრელი აქვს და არც გამოყოფილი კუდი გააჩნია, ც, რომელიც შედგება შეუკრელი წრისა და ირიადად გასული სწორი ფეხისაგან. მ-ს აგრეთვე აქვს კუდი, როგორც დ ს. სხვა ასოების დაწერილობაშიაც ისეთი არაფერია. რომ არ შეიძლებოდეს წარწერის გადაწევა X საუკუნიდან ასოდე წლით

საუკუნეთა სიღრმეში (რომ აღარაფერი ეთქვათ, რასაც ვერცხვით, წარწერის ტექსტსა და სიტყვების შემოკლების წესზე) ¹¹.

რაც შეეხება არაბულ ხანაწერს ქართული წარწერის შუაში, მე აქ მოკლედ მთლიანად პროფ. გ. წერეთლის შენიშვნები, გაყვებულ ფოტოსურათის საფუძველზე (1942 წ. 5. ა. 1) ¹².

შ. მანის ეკლესიის ქართული წარწერის შიგნით მოთავსებული არაბული წარწერა შედგება სამი სიტყვისაგან, რომლებიც სამ სტრიქონადია განლაგებული, ორი სიტყვა იდვილად იცნობება: **بشر** „ქუშად იბნ“ (ქუშად ძე ისა), სიგეჟო მესამე სიტყვა, რომელიც ქუშადის ქონის წარმოადგენს:



ფურ. 4

შესაძლოა იგი იყოს **بشر** „ბაშირა“, თუკი მისი წაქცევის სხვა მრავალი შესაძლებლობაც არსებობს. რადგან ქუშად ქართულ ტექსტშია ცხვენი (პომადის სახით), საფიქრებელია, რომ არაბული ქუშად ქართული კიტრის ძის შესატყვისი იყოს, მაგრამ იმეორად მე არ შემიძლია როგორმე დავუკავშირო არაბული ტექსტის რა ქართულ კიტრის ძეს.

პალეოგრაფიულად წარწერა საკმაო სიძველეს ამჟღავნებს. ურადღებებს იქცევს უ-სა და განსაკუთრებით რ-ს მოხაზულობა **ح** სიტყვაში. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე **ا** ასოს ფორმა — სთან ლოგოტირაში (**ب**) რომელიც ჰიჯრის აღრინდელი საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა შეიძლება დათარიღდეს პირველი III საუკუნით, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის IX საუკუნით.

ქართულ ტექსტში მოხსენებული სახელი კიტრისძე (პომად კიტრისძის იოზაბა) სხვა ქართულ ძეგლებში არ მახსოვს შემხვედროდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იგივე სიტყვაა, რაც ტაბარის (გოდ 310/923 წელს) თხზულებაში **كيتريس** მოხსენებული გარდმანის პატრიარქის სახელი **كيتريس** ეს უკანასკნელი კანონმომიერი არაბული გადმოცემის სიტყვისა — კიტრისძე.

¹¹ ის, რომ ამ დროს სიტყვა „სუფარა“ კათოლიკე მნიშვნელობით არ იმპარებოდა არაბულ ეპოქაში, იყოფოდა მნიშვნელობით, აღნიშნული იყო გამოყვლებაში ლაღნიას სონის შესახებ (111. გვ. 118, შენიშვნა 2).

¹² მე მხოლოდ მხოლოდ აფილზე გადმოვიხატე: მისი დასყენი უკანასკნელის წინააღმდეგ.

ტაბარის, სახელდობრ, მოთხრობილი იქნა, რომ მას შემდეგ, რაც ბუღა თურქმა თბილისი დასწვა. „წარგზავნა ბუღამ ზირაქი სახესა გარდმანისას, რომელი იგი არს შირის ბარდვისა და ტფილისისა (موج با ... زيرك الى قلعة الجردان وهي بين برقة وقلبيس).“ და დაიწერა ზირაქი გარდმანი და წარტყვენა პატრიკიოსი მისი აღკვეთილი (= კიტრის ძე?) და წაიყვანა იგი ბანაკსა“ (فتح زيرك الجردان واحد بطريق القطر من ابيرا فحمله الى المعسكر) ეს ამბავი, ტაბარის სიტყვით, მოხდა 238 წელს, ე. ი. 852—853 წ. ხუნი წელთაღრიცხვით, ხოლო როგორც ატენის სიონის წარწერითაც ცნობილი. ბუღას შიერ თბილისის დაწვა მოხდა 239 წ., ე. ი. 853 წ. ხუნი წელთაღრიცხვით.

ამგვარად, ქრონოლოგიურად წარწერა იმ ამბავის რაონდელი გამოდის, რომელთან დაკავშირებითაც ტაბარის მოგვითხრობს *القطر*-ის შესახებ. ამგვარი დამთხვევი, ქრონოლოგიური და საკუთარი სახელის ფორმის, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ხსენებული საკეთირო სახელი ძალიან იშვიათია, გვაფიქრებინებს, ხომ არ არის ტაბარის შიერ მოხსენებულ გარდმანის პატრიკიოსი კიტრიძე, რომელიც სომხურ წყაროებშიც გვხვდება კერძოდ სახით. იგივე პირო, რაც ხუნი წარწერის კიტრის-ძემ ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უძველია: თვით სიტყვა *القطر* ქართული კიტრის ძე სახელის ირამული გადმოცემაა.

გ. წერეთლის ნიერ მოყვანილი ცნობა ტაბარისა — ბუღა-თურქის შიერ, გარდმანის მფლობელის „წარტყვენის“ შესახებ, ზოგიერთი დამატებით დეტალებით მოიპოვება სომეხი ისტორიკოსების — იოანე კათალიკოსის ასოლიკოსა და სტეფანოს ორბელიანის — თხზულებებშიც. იოანე კათალიკოსი, წარმოშობით დრასხანაკერტელი (835—925 წლის ახლო), მოგვითხრობს, როგორ ეძლიოდნა ბუღასაგან დევნილი სეზონიანის სანები მფლობელი ვასაკი თავის შეფარებას გარდმანის მფლობელთან. „რომელსაც კერაქი ერქვა“, როგორ ძიქცა უკანასკნელმა ვასაკი ბუღას; მგზამ შემდეგ ბუღას მანც „შემოარტყა ილია და აიღო გარდმანის კიბე. დატყვევა გარდმანის მძირთველი კერაქი (ჩუბინაშვილი წარწერის კერაქი) და ბორცილები დადო მისო“ [2]. თავვე ამბავს იმეორებს და 853 წლით ათარიღებს *Annales* საუკუნის ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანიც [3].

შეორე წარწერა (სურ. 3) — აღმოსავლეთის ფასადისა — დასაწყისში იმეორე მძირთვეს იმეორებს, რომელიც პირველია, მაგრამ ზოგიერთ დამატებით ცნობასაც შეიცავს. სამწუთაროდ, დაჭრავებულ სიტყვებს მართლაც ამოხსნა ვერ მოხერხდა დამწერლობის მხრივ ეს წარწერა აირველს ემთხვევა, თუმცა ნაკლებ მკაფიოდ და ნაკლებ რაოდენ ამოვეთილი და ასოებიც დაქანებულია. ცალკეულ ასოთაგან გამოყოფა ვ.

¹ ასოლიკო მთლიან ამბავებს ბუღას შიერ შეტეობილი და ვასაკის გაქცევა მთავრებს — გარდმანის მიანება კერაქის [4]. მათთანვე დამატებით [5] აღნიშნავს „სომეხი დამწერლობის მკაფიუს უკანადა არ მოხერხდა“ = (1) — და = (2) — აღკვეთა“.

ამგვარად, მაჩხანის ეკლესია ჩვენ ზუსტად შეგვიძლია შევადაროთ IX ს-ის შუა წლებს (853 წელზე ძდრეთ). აქედან — საინტერესო და მნიშვნელოვანია დამახასიათებელი მისი იმ რიგითი თავისებურებებია, რომლებიც დაკვებმარებიან სხვა მსგავს ძეგლთა დასათარიღებლად.

ეკლესია ნაშენია ძლიერ ნასუფრთიანი კვით. ჩოხელსავე მოსახლეობა შირიმს უწოდებს. ქვეშ არა აქვს ზუსტად გამოკვლილი თორბა, ამის გამო წყობი თანაბარ რიგებს ვერ ქმნის, ეს რიგები მხოლოდ შიშვლებით ისარგებლა. ზოგიერთი კვა ძლიერ დიდია (დაახლ. 160 x 90 სმ), ქვის ნაწილი სანჯღლი ზომისაა, ნაწილი კი (ხეშით) — წერილი. როგორც ჩანს, ამგვარი ქვის ეკლესიები მთლიანი წყობისათვის ქართლში იქნებ, დასავლეთ საქართველოშიც) იშვიათი უნდა იყოს: ეს კვა ზეჭურთმის ამოსაქრულად არ გამოდგება. უჩუქურთმოდ კი საქართველოში — კახეთის გამოკლებით — შენობას არ ვხვდებით, თუ არ ჩავთვლით ხანძარს გარდაშვალ ქარიოსს. ჩოხელსავე მაჩხანის ეკლესია მიეკუთვნება. თუმცა, მაჩხანში ნაწილობრივ გამოყენებულია მეორე — ძალიან მკეროვი — ქვაც, შესახველის თავზე წაწერისათვის, აღმოსავლეთის ფასადის წარწერისათვის, დასასრულ — კარნიზისა და კედლის წყობის ზემო რიგისთვის (კარნიზის ქვეშ).

ამგვარი რამ — მკეროვი, გამძლე, მაგრამ ძნელად დასაბუშვებელი ქვის გამოყენება ცალკეული. ისე თუ ისე გამოყოფილი (უპირველად მკეროვი) ეკლესიებისთვის — ძირითად (უფრო იათ და უფრო სულ) საშენ მასალის გვერდით — აღნიშნული ეპოქის დამახასიათებელი თვისებაა¹¹. სავსებით დამახასიათებელია ამ ეპოქისათვის თვით მშენებლობის თავისებურება: კვადრები გამოთლილია ზუსტი, თითქოს ხაზბაზით გამოყვანილი გვერდებისა და კუთხუბის გარეშე; მათი სიმაღლე თანაბარი არაა და ამიტომ ისინი არ ქმნიან წყობის თანაბარ რიგებს: ზოგან საკირო ზღვა კვადრებს შორის დაჩენილია დვილებს წერილი კვადრით შევსება. წყობის ნაკერებიც არათანაბარია, სხვიდასხვი სისქისაა. დასასრულ, ქვის წინაპირის თლაც არაა მაღალბარისსიყვანი, ზედაპირი საქმოდ ცალკეულია.

ეკლესიას სულ რაღაც საუკუნედი აქვს (იღმოსავლეთით და სამხრეთით) — ირრრე უმნიშვნელო ზომისაა (შიგანით 12 სმ და სიმაღლით — 30). სარკმლები ბრტბრივად კი არაა გამოყვანილი ვაოვთა წყობის საშუალებით, არამედ პირდაპირ ამოჭრილია სამხრეთისა — მთლიანად (კი) ცალკეულ ქვებში.

ფასადის უმნიშვნელო. თითქოს შექთბიყვითი, სიმკაულები უღანად. — კონტურულია და ხაკეთი. ასეთია ხელის ძველანი აღმოსავლეთის ფასადზე (სურ. 6) და იმავე ქვაზე. მის ზემოთ გამოსახული ჯვარი; შემდეგ — უსწრო წრეში ჩასმული ჯვარი კედელზე, შესახველის მარჯვნივ. მხოლოდ შესახველის ზემოთ ჩაღმძვებულ სწორკუთხე არეში მოთავსებული ჯვარი გამოიყოფა ცოტაოდნავ რელიეფურად (სურ. 7).

¹¹ ამგვარობრივ მკვლევართა სიტყვით. „ზარბა“ ნათქვამია იქვე მშენებლობის ადგილას მეორე — მკეროვი — ქვა კი სოფ. დილოში უფრო ახლო მათ არ ვხვდებით.


ჯვარი და წარწერა ერთ ქვაზე, ერთიმეორის გვერდითაა მოთავსებული. მაგრამ მათი განლაგება დაუდევარია: ისინი ერთ ხაზზე არ არიან, ფონი სხვადასხვა სიღრმისა აქვთ, თვით ან სწორკუთხედ ამოღებულ ფონსაც წესიერი გვერდები არა აქვს, თუკია ხაზიერი წყაროებით გაკვეთულია. უცვლელი ესეც ისეთი ნიშნებია, რომლებიც ზეპირი ეპოქის დამახასიათებლად იმართნია. ხორისხის დატყევიანება ხაზობრივად VIII ს-ის ძეგლებთან IX ს-ის ძეგლი შედარებისას, განსაკუთრებით აშკარად ჩანს ეს ქართლში, როგორც ეს აღნიშნული იყო, უკონდ, წარქოლისა და არმაზის განხილვისას [9].



სურ. 5, 6, 7 და 8

აქ, მაჩხანში, „სამკვლავები“ განლაგებულია უკუღვარს კონკრეტული კაზრების ვარგზე; მათი დანიშნულება მხოლოდ შიდაარსობლივია. ცალკისადაც დაშენებლად ბუნებრივ კლდეზე მოშენდებიან ნაკვეთი, მაგრამ ეს იშვიათი, რომლითაც კლდე ნაწილობრივ მოპირკეთებულა. არაა გაფორმებული, არაა დანაწევრებული ქარიზ-მტკვრად, იგი ერთ მთლიან (70 105 სიმაღლის) საფეხურს ქნის.

ყდლის წყობის გამო, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ქართული ეკლესიების ფასადთა ჩვეულებრივ ფაქიზი. ნათელი ნახატისაგან, ამ ტიპის ვარგვობა დამახასიათებლად ჩაითვლება მშენებლობის მთელი ერთი ხანისთვის. ისევე, უკუღვარ სიმახვილეს მოკლებული პროპორციებიც, რომლებიც უფრო ვარკვევით შენობის შიგნით აღიქმის. ამ გარდასვლად, ერთნულ კულტურის ყრუ ხანას უნდა ახასიათებდეს: შენობის სიმაღლე თიხებისა და კაპარის ქუსლამდე უბრალოდ მის სივანეს უდრის; ამას — კაპარის წვერომდე — მხოლოდ შენობის ნახევარი სივანე იმატება (სურ. 9 და 10). კიდევ უფრო ადაბლებს სივრცეს ჩამოსაჯდომი საფეხურების გამოყოფა დასაქვლეთა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედელთა გაყოფებით, აგრეთვე სარკმელთა შეჭრა იშვიათის ფარგლებში (სურ. 10). თვით რიგივე მკობრე, სწორკუთხა და ღრმა თაროც კი (ნიშები ფესილში) ადამიანის სიმაღლის ზემოთაა მოთავსებული და თან არათანაბრადაქ.



სურ. 9

მიგნით ეკლესიის ყდლები (კაპარის ჯგუფით) იმეც შიგნითაა ნაწყობი, რომელიც ფასადზეა გამოყენებული. შიგნითსავე შეა საბჯენი თიხის (ქუსტარებზე) და კონქის გარეთა თალი. ბოლო კაპარის რიგივე მონაკვეთი და კონქი რივის ქვითაა ნაშენი, სწორა ქარიზონტალური რიგების დაკვეთით.



fig. 1



fig. 2




fig. 3

სხვადასხვა საშენი მასალის — კერძოდ, ჩივის ქვისა და თლილი კვადრების — შეთავსება იმ ხანის შენობებში ხშირად გვხვდება.

დასასრულ აღენიშნაეთ, რომ თაღების იმპოსტები უმარტივესი ფორმისაა (ხურ. 10), აფსიდის იმპოსტები კიდევ უფრო მარტივი და მდიდრეა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კედლის ძველი შტატერობისა გადარჩენილი: დასავლეთის კედლის ძირში საფუძვრისებური ორნამენტის არ-შია, საკურთხეველში ორი წმ.ღა-მამის ფიგურა *ex facie*, საკურთხე-ლის სარკმელში კი ბაღისებრი ორნამენტი რომაელებით ყოველ მო-ნაკვეთში. მას მთელი სიგანის მხო-ლოდ $\frac{1}{2}$ უჭირავს.

ამგვირავდ, მაჩხანის ნაგებობა, რომელიც მტკიცედ თარიღდება IX ს-ის შუა წლებით, ნებას გვა-ძლევს, რომ მისთვის დამახასიათე-ბელი ნიშნები — ფასადთა ქვის წყობა, შენობის პროპორციები.

სხვადასხვაგვარი საშენი მასალის კომბინაცია, თვით შედადგენელი ნაწილები და მათი ურთიერთშეფარდება, დასასრულ-ცალკეულ ხელოვნობურულ ელემენტთა და სანკაულთა თავისებურება — ნი-ვიანდით VIII—IX ს. ს. მთელი ეპოქის ჩივით ძველთა დამახასიათებელ თე-ვისებურებად. იმავედ, მაჩხანის ძველი მკვლევარს ხელთ აწევის მასალა, რომელიც მას დაეხმარება ბევრი სხვა — დღემდე დაუთარიღებელი — შენობის დათარიღების საქმეში.



ხურ. 10

საქართველოს სახ. მეცნიერებათა აკადემია
ქართული ენა-წიგნის ისტორიის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მიუძღვნა 21.4.1952)

დავითმედილი ლიბარატორია

1. Г. Н. Чубинская и др. Исследования вост. (визант.) ст. в IX в. тбилис. в. 110, № 2, 1940.
2. ირანე ურასიანა ეტიკი ეტიკი თარქმანი ილია აბლაძისა რედაქციის ისტორიის წყაროები. სერია III. სტუმბ. ავტორები. თბ., 1937, გვ. 17 — 18.
3. Histoire de la Sioumie, par: Stephanoz Chelikian, traduite de l'armenien par M. Berner. St Petersburg 1864, p. 104 (ch. XXVIII).
4. Восточная история Сиена Таронцера, Асояк до армения. Пер. Н. Зунда. Москва, 1864, с. 78.
5. Chazarian. Armenien unter der arabischen Herrschaft. Marburg 1903, s. 52 — 54 Note.
6. ივ. ჯავახიშვილი ქართული ერთი ისტორია. წიგნი II, თბილისი, 1912, გვ. 286 — 287 (ბეორე გამ. 1948, გვ. 27).
7. ეახე შირ ბატონიშვილი აღწერა სიხვისა სხაროველისა ო. ლიბორას და 5 ბუბინიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 49 — 50, 87.
8. ლ. შროველი. მასიული ქართლის ცხოვრება, ს. ყუბნიშვილის რედაქციით თბ. 1942, გვ. 17, 18.
9. ქართული ხელოვნება, ტ. 1, თბილისი, 1942.